საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტო

LEPL MARITIME TRANSPORT
AGENCY

KA020124176792118

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საქართველო, ქ.ბათუმი, 6000, ბაქოს ქუჩა N50. ტელ.:+995 422 27 49 25/26
50 Baku Str., 6000, Batumi, Georgia. Tel.:+995 422 27 49 25/26

№ 5/CIRC/STCW **21 / ივნისი / 2018 წ.**

საქართველოში რეგისტრირებულ ყველა მეზღვაურს;
საქართველოს საზღვაო სასწავლებლებს და
საწვრთნელ ცენტრებს;
საქართველოში რეგისტრირებულ საკრუინგო
კომპანიებს;
ყველა დაინტერესებულ მხარეს

თემა: დამხმარე დონის მეზღვაურთა სერტიფიცირების მოთხოვნები და პირობები (STCW კონვენციის რეგ. II/5 და III/5)

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო გაცნობებთ, რომ იმ მეზღვაურებს, რომელთაც გააჩნიათ პროფესიული განათლების შესაბამისად მინიჭებული მესამე საფეხურის კვალიფიკაცია, (გემბანის რიგითი და სამანქანე განყოფილების რიგითი) აკმაყოფილებენ „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „მეზღვაურთა წვრთნის, სერტიფიცირების და ვახტის გაწევის შესახებ“ (STCW) კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნას აღიარებულ წვრთნასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, STCW კონვენციის II/5 და III/5 რეგლამენტებით და საქართველოს კანონის „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ მე-19 და 25-ე მუხლების შესაბამისად, STCW კოდექსის A-II/5 ნაწილით დადგენილ მატროსის სერტიფიკატის მისაღებად პირს მოეთხოვება, შეესაბამებოდეს სანავიგაციო ვახტზე მდგომი რიგითის კვალიფიკაციას და ჰქონდეს საგემბანე განყოფილებაში მუშაობის 12 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი, ხოლო STCW კოდექსის A-III/5 ნაწილით დადგენილ მოტორისტის სერტიფიკატის მისაღებად მოეთხოვება შეესაბამებოდეს სამანქანე ვახტზე მდგომი რიგითის კვალიფიკაციას და ჰქონდეს სამანქანე განყოფილებაში მუშაობის 6 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი.

პატივისცემით,

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს
დირექტორი

თ. ი

თამარ იოსელიანი